განკარგულება:**g-81. 81230095**
თარიღი:**09/01/2023**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №2

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წელს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილების საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1. მოწონებული იქნას ცაგერის მუნიციპალიტეტში 2023 წელს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებებლი შემდეგი პროექტები:

1. სოფ. ზოგიში-ცაგერას შიდა სასოფლო გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა.

2. სოფ. სურმუშის შიდა სასოფლო გზაზე რკ/ბეტონის საფარის მოწყობა.

3. სოფელ ქვ. ცაგერში ჩამდინარე წყლის სისტემის (კანალიზაციის) და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა.

4. სოფელ ჩქუმში შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია.

მუხლი 2. ნება დაერთოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს, მერის მოვალეობის შემსრულებელს, პირველი პუნქტით განსაზღვრული პროექტების განხორცელების შესახებ წინადადება წარადგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

მუხლი 3. დაევალოს, ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს მერის მოვალეობის შემსრულებელს, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პირველი პუნქტით განსაზღვრული დასაფინანსებებლი პროექტების სახელმწიფო შესყიდვა.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქუჩა №69).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი